№ 227

ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 227

ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

მღვდელი ზაქარია გაბრიელის ძე გამრეკელი, ელისაბედ იოანეს ასული გამრეკელისა, მღვდელნი: იოელ, სეით, ბიორგი და დიმიტრი გაბრიელის ძენი გამრეკელნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი და მეორე ერთად-ერთის ძის, ხოლო დანარჩენნი ძმისწულის გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფის

იაკოლი ცესან.

მიცვალებულს დაასაფლავებენ ს. მეჯვრისხევში, ხუთშაბათს, ცხრამეტს ოქტომბერს. (2—209—1)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს,

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად

ლექსად ნათარგმნი განდეგილის მიერ

## ვაი ჭკუისაგან

კომედ. 4 მოქმ. ა. ს. გრიბოედოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, ალხაზიშვილი; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

რეჟისორი ვ. გუნია

მზადდება წარმოსადგენად „იანიჩარი“ ისტ. დრ., „დენიზა“ დრ. ალ. დიუმასი.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1-1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არზანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინასა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

ს. სალარიძე ასწავლის

ფრანგულ, იტალიანურ, გერმანულ და ინგლისურ ენებს.

ღარიბ მსურველთ აძლევს გაკვეთილებს 4—5-დე უსასყიდლოდ.

ჰავჰავაძის ქ. № 24. (7—205—4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

„ივერიის“ რედაქციაში

საჭიროა მოზრდილი ბიჭი 15—16 წლისა, ქართულ-რუსულ წერა-კითხვის მცოდნე, და პატარა ბიჭი 12—13 წლისა.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 17 ოქტომბერს, მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის 1888 წლის ხარკოვის გუბერნიაში რკინის გზიდგან მატარებლის გადავარდნის დ დამტვრევის დროს მშვიდობით გადარჩენის დღეს გორის ეპისკოპოსმა ყოვლად უსამღვდელოესმა კირიონმა ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით ტფილისის სიონის ტაძარში გარდაიხადა წირვა და შემდეგ სამადლობელი პარაკლისი. წირვასა დ პარაკლისს დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, ტფილისის გუბერნატორის თანამდ. ალმას. ბ-ნი სვეჩინი, ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლის თანამდ. აღმასრულებელი გენერალ-მაიორი საგინაშვილი, კავკასიის ჯართა ორი-

## ფელეტონი

### „საზღაპრო ქვეყანა“

(ესკიზი)

ერთი ხელ-მოკლე აზნაურის შვილი ვარ. იმერელი, ქვემოური. დავიწყებ ჩემი შეძლებიდგან: ჯერ პაპას და პაპის პაპასაც ბევრი არა ქონია-რა და თუ რამ ქონდა, ისიც მამაჩემს ველარ ჩამორჩენია, თორემ მე სულ რაღა მექნება!.. შიდ ოდაც ქე მიდგია, ცოტა შეილანძლა კი—სახურავი ცხრილს დეემზგავსა და საცა ყავარი დარჩა, იმაზე ხავსი წამევიდა, მწვანეთ გადაბიბინდა, თითქო მნდომოდეს ბაღი გამეშენებინა; კიბე ჩამპალია და თუ გურულივით სწრაფი არა ხარ, ცოტა მაღალზე დგას სახლი, ზედ შესვლის რა მოგახსენო! მე ქე ვარ გაჩვეული, მარა სახლში მაინც ძვირათა ვარ; აკოშკებიც ქაღალდ გაკრული ბევრგან არი და ერთგან ყავრითაც ავჭედე, ერთ წვიმიან დროს მოვხვდი სახლში და შემოსულმა ცივმა შუქმა აღარ დამასვენა; იატაკიც ჭრიჭინობს და ჭერსაც პირი დაუღრენია, თითქო სიბრალული უნდა გამიღვიძოსო, მარა ვისკენაც მას თვალი უჭირავს—ჯიბეზე—ისიც სხვისკენ გეიყურება და სიბრალული შენს მტერს, ტყულა ამეძვრის ხოლმე! ასეთია ჩემი ბინადრობის ამბავი, მარა ყველაფერი ესეც ჩემი დღეს არი, თვარა ხვალ—რა ვიცი? კაკუტაძეს დოვუგირავე, პირველად რომ ქუთაისში წევედი, მაშინ და გუშინწინ... გუშინ წინ-კი არა, კაი ხანია, მარა ასე ითქმის... ღვლერჭაძეც ლისტით და ბოქაულით კარზედ მომადგა. მაშინ გამახსენდა, რომ მამაჩემი მისი ფულით დავმარხე. არ მინდოდა, მარა არ მომისვენეს: უნდა ჩვენებურად იტირო, ტოლ-ამხანაგებში რაფერ გამოწყდები, ჩვენი გვარი ჭირშიაც და ლხინშიაც ყოველთვის სახელოვანად გამოდიოდაო. გამაბრიყვეს და აი, ამ სახელოვნების მიზეზი იყო, რომ გუშინ-წინ კარზე მომადგა... კი, მაშინ ქე მევიშორე რაცხა ფერათ, მარა სანემდი... ახლა კაკუტაძეც ამიღრინდა, მარა დავამშვიდე, და თუ რითი დავამშვიდე, ამასაც-კი მოგიყვებით.

ახლა ჩემი სწავლა-განათლების ამბავი მინდა გიამბოთ, მარა რაღა გევიმეორო. გიმნაზიის ოთხი კლასი მეც ქე გამევიარე, მაჯახრიკა მამაჩემმა, სწავლითაც გვარიანად ვსწავლობდი, კიდევ წინ წევიდოდი, მარა მშობლებმა მიღალატეს. ჩემი ოთხი კლასის გათავებამდის ჯერ დედა გადამელო და მერე მამა. ობლათ დავრჩი. ერთი ძმა-ღა შემრჩა, ჩემზე უმცროსი—ის ორ კლასამდი მივიდა, ისიც მიტომ რომ სწავლის გადასახადი არ გვჭირდებოდა, სათავად-აზნაუროში სწავლობდა და ბინათ-კი ერთ ჩემ კეთილთან იდგა, რომელიც არაფერს არ გვახდევინებდა, როგორც მონათესავე. ხომ მოგეხსენებათ, ქვეყანაზე მადლიანი ადამიანებიც ცხოვრობენ! მარა, შენ მტერს, ანცი გამომადგა ძმა და მეორედან ქე არ გამოუძახეს... რავარც იყო დიდი ხლაფორთის შემდეგ ერთ სამმართველოში რვა მანეთიან ადგილზე ძლივს მივაღებინე. ეგეც კაი ბედია! ზოგი თურმე ბევრ ხანს უჯამაგიროთაც მსახურებს, მარა მაგას „პოჩერკი“ ჰქონდა კარგი და უფროსს მეეწონა; ბედათ ჯამაგირიანი ადგილიც თავისუფალი იყო და მიცეს. უშველა „პოჩერკმა“... ახლა იმისთანა გამოპრანჭული დეიარება—პირველი კნიაზი გგონია! რაფერ ახერხებს ან ჩაცმა-დახურვას და ან თავის გამოკვებას, რა ვიცი! ეს მისი საიდუმლოა... ღმერთმა უშველოს, ჩემი საჭირო აღარაა, მარა ზოგს ძაღლის ბედი კი აქ მართლა. ვიღაცა ქალს აძლევენ თურმე, ერთ დაბაში სადუქნე ადგილებს აძლევს ჭირისუფალი და ხელშიკიდე გამოკრულ ას თუმნიანს... კაია, შენ ნუ მომიკვდე! ჩემი ძმის კვახს-კი მოაბრუნებს და. ესეც იმიზა მოგახსენე, რომ მე რამ დამნავსა, რათა ვარ ასე უიღბლო... მარა „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“! ეტყობა, ხერხათ მე არავის მოვულესივარ.

. . . . . . . . . . .

მომწყინდა ამ ვაი-ვაგლახში ყოფნა. ვაი-ვაგლახი მიქვია ასე ცუდუბრალო ცხოვრებას. კი, ქუთეისში ხშირათ ვიყავი და გულს ვაყოლებდი „გასართობს“, თეატრებსაც ხან და-ხან. კარტსაც არ უარდი გვერდს: ჩოვუბაქარ ვერტუშკებდი ზოგჯერ, არც გაზეთების კითხვას ვრჩებოდი შორს; ასე რომ ამ ბოლო ხანებში მაინც ბურების ამბავი სულ ზეპირად ვიცოდი და გაფაციცებით ვადევნებდი თვალ ყურს მათ ჩხუბს, მათ სიმარჯვეს, მათ მხნეობას, გულგაუტეხლობას, მათ ერთ-მუჭაობას, მარა სულის სიძლიერეს... „Горсть мужиковъ, горсть мужиковъ“!—მესმოდა გარშემო... სიზმრათაც გადამქცევია ზოგჯერ... და ამ „горсть“-ს ვადარებდი ძველ ჩვენებურობას, ვფიქრობდი, უთუოდ ასე იყო წინაზეც, რომ ეხლა ჩვენი მწერლები თუ ლიტერატურაში და თუ სცენაზე მოგვითხრობენ მათ საარაკო ამბებს-თქვა. კი ნუ გაგიკვირდებათ და ყველა მათი ნაამბი აქამდის წამეტებული მეგონა—თვარა ასე შემკული ხალხი რაფერ ვიყავით-მეთქი! ეხლა რომ ვფიქრობ, თურმე მართალი ყოფილა—მაღალ ზნეობის ხალხს, ერთად შემკვრივებულს, რომელიც თავისუფლების დასაცველად გამოსულა, ძნელათ თუ ვინმე გატეხს თურმე... მარა ვინ მე და ვინ ესეები!.. კალამი რომ ხელში ავიღე, თავი ბრძენათ მომეჩვენა. საყვარელი რუსთაველი! „ყვავი რომ ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონიაო!“ ჰო და ამ გვარათ დროს მეც ვატარებდი ქუთეისში, მარა ბოლოს მაინც „ხეტიალი“ შემრჩა ხელში... მუქთა ხორობა გამიტკბა, თუმცა ვგრძნობდი მის უვარგისობას, და აი გაისმა ჯადოსნური სიტყვა: „ჭიათურაო! ჭიათურა და ფული, მარა ბევრი ფული!“ ეს ორი საგანი ისეთი ტყუპი გასაგონარი და შესამცნები გახდა, რომ ავგორგოთდით ჩემისთანებიც... ზღაპრული ამბები მოგვესმა! ათასობით ლაპარაკი დევიწ-

ვე კორპუსების კამანდირები გენერალნი ზეზემანი და თავ. ამირეჯიბი, ქალაქის მოურავი, სამხედრო უწყების წარმომადგენელნი და სხ.

*** მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესს საქართველოს ეგზარხოსს ფლაბიანეს 20 ამ თვეს მოელიან ტფილისში.

*** სიფხიზლის გამავრცელებელ ტფილისის საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-ნმა ნ. ა. სახაროვმა ამ თანამდებობაზედ უარი განაცხადა. ამის გამო საზოგადოების გამგეობამ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს სვეჩინს მიჰმართა თხოვნით, რომ აღნიშნულ საზოგადოების თავმჯდომარეობა ეკისრნა. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა სვეჩინმა თანხმობა განაცხადა.

*** ორშაბათს, 16 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს სხდომა შესდგა საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზედ. საბჭოს განსახილველად ჰქონდა სულ 25 საქმე, რომელთაგან მოასწრო მხოლოდ 8 საქმის განხილვა. პირველად საბჭომ განიხილა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის წინადადება თეოდორე ნერინგის საჩივრისა გამო. აი ამ საქმის გარემოება: 1898 წლის აპრილში ქალაქის ტეხნიკოსისა და სხვათა გაუფრთხილებლობით ქალაქის წყლის მილის გასკდომის დროს სასიკვდილოდ დაშავდა ნერინგის შვილი. გამგეობამ გარდაცვალებულ ნერინგის სახლობას დაუნიშნა შემწეობად 1,200 მან. ერთ ჟამიერ და 180 მან. ყოველ წლობით. ქალაქის საბჭოს არ შეუწყნარებია გამგეობის დადგენილება და გარდაუწყვეტია, რომ ნერინგის სახლობას მიეცეს ერთ ჟამიერად 2,400 მან. გამგეობას საბჭოს დადგენილება სისრულეში მოუყვანია, მაგრამ ნერინგისათვის ხელწერილი ჩამოურთმევია, რომ ამ საქმის შესახებ არავითარი სიჩივარი აღარ განაცხადოს. ნერინგს შემდეგ თხოვნა მიუცია გამგეობისათვის, პასუხისგებაში მიეცით ყველა ისინი, რომელთა არ-ცოდნამა თუ გაუფრთხილებლობამ შეიწირა ჩემი შვილი. გამგეობას ეს თხოვნა საბჭოს განსახილველად არ წარუდგენია და ამიტომ ნერინგს გუბერნატორისათვის მიუცია თხოვნა, რომელშიაც ბრალსა სდებს გამგეობას ხელისწერილის მოტყუებით ჩამორთმევასა და სიყალბეს, ნერინგი სთხოვს გუბერნატორს, რომ მის თხოვნა ქალაქის საბჭოს განახილვინოს. ამ საგანმა საბჭოში დიდი კამათი გამოიწვია, რომლის შემდეგ დაადგინა უყურადღებოდ იქმნეს დატოვებული ნერინგის თხოვნა. საბჭომ განიხილა აგრეთვე ამა წლის დამატებითი გასავალის ხარჯთაღრიცხვა № 2, რაც 23,000 მან. უდრის და სულ-კი ამ წლის ქალაქის ხარჯი ამ ფულიანად 1,453,000 მანეთამდეა. საბჭომ დაამტკიცა დამატებითი ხარჯთ აღრიცხვა და დაადგინა წარედგინოს დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორს. შემდეგ საბჭო შეუდგა „ლოტკის მთის“ მცხოვრებთა განცხადების განხილვას ნაძალადევსა და „ლოტკის მთას“ შუა ხიდის გაკეთების შესახებ. ქალაქის გამგეობამ ამ საქმისთვის გადასდო 400 მან., ხოლო საფინანსო კომისია არ დათანხმებულა, რადგანაც 400 მანეთად მცხოვრებთათვის მკვიდრი და გამოსადეგი ხიდი არ გაკეთდებაო. მან თვისის მხრით საბჭოს წარუდგინა მოსაზრება ქვის ხიდის გაკეთების შესახებ, რისათვისაც 3000 მან. უვარაუდნია. კარგა ხნის კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა მიღებულ იქმნას გამგეობის დადგენილება ხიდის გაკეთების შესახებ და დაევალოს ქალაქის გამგეობის სააღმშენებლო განყოფილებას შეიმუშაოს ნაძალადევისა და ლოტკის მთის შუა ქვის ხიდის გასამართავად პროექტი, რომელიც საბჭოს წარუდგინოს განსახილველად. საბჭოს სხდომა დანარჩენ, უმნიშვნელო საქმეთა განხილვის შემდეგ 11 საათზედ დაიხურა.

*** გუშინ, 17 ოქტომბერს, წყლის პირის ქუჩაზედ კანტროლის პალატის პირდაპირ ახლად შეძენილ ადგილზედ, გორის ეპ სკოპოსმა, ყოვლად უსამღვდელოესმა კირიონმა, სასულიერო სემინარიის რექტორის არხიმანდრიტის მ. ჰერმოგენისა და სხვა სამღვდელოებასთან ერთად აკურთხა ტფილისის მეორე დედათა ოლგას სახელობის გიმნაზიის საკუთარი შენობის საძირკველი. კურთხევას დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი, ტფილისის მეორე დედათა გიმნაზიის მოსწავლე-ქალნი მასწავლებლებითურთ, ქალაქის მოურავი და მრავალი გარეშე ხალხი. საძირკვლის კურთხევის შემდეგ იქვე ბაირაღებით მორთულ ფარდულში მიწვეულ იქმნენ საპატიო კაცნი მცირე საუზმეზედ.

*** ტფილისის საზოგადო განვითარების კურსებზედ ლექციების კითხვა 19 ოქტომბერს იწყება. ლექციებს, როგორც წინად, ახლაც ტფილისის ვაჟების I-ლს გიმნაზიაში იკითხავენ. ამ წელს II და III კურსის ლექციები იქნება წაკითხული. ვინც ყველა საგნების მოსმენას მოისურვებს, 5 მან. უნდა გადიხადოს; ცალკე რომელისამე საგნის მოსმენა მანეთი ღირს. მსურველთ შეეძლებათ თითო ჯერაც დაესწრნენ, მაგრამ თითოეულს ლექციაში 20 კაპ. უნდა გადაიხადონ. ბილეთების აღება უკვე დაწყებულია და შეიძლება I-ლს გიმნაზიაში ბ-ნ ბოგდანოვიჩთან დილიდგან 2 საათამდე და საღამოს 6—8 მდე.

*** როგორც ამ დღეებში გვქონდა მოხსენებული, ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში ამ წელს სწავლა-დამთავრებულთა ნამუშევრის გასინჯვა 15 ოქტომბერს იყო დანიშნული. გასინჯვას დაესწრნენ: სახალხო სკოლების დირექტორი, ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის დირექტორი, ქალაქის სასწავლებელთა კომისიის წევრნი, რამდენიმე წევრი საბჭოსი, ხელოსნთა მოურავი და რამდენიმე სახელოსნო უსტაბაში. ნამუშევარი ყოვლად უნაკლულო აღმოჩნდა. ამ წელს სახელოსნო სასწავლებელში სწავლა დაუმთავრებია სულ 23 კაცს.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა აზნ. ნიკოლოზ, სოლომონ და გედევან ორჯონიკიძეთა და სხ. საქმე, რომელთაც აღნიშნულ კანტორიდგან 50,000 მან. მოტაცება ჰბრალდებათ, 24 ოქტომბერს არის დანიშნული განსახილველად ტფილისის ოლქის სასამართლოში.

*** რკინის გზათა კომიტეტის თავმჯდომარე ინჟენერი მ. ა. უნანოვი ტფილისში ჩამოვიდა.

*** ორშაბათს, 16 ოქტომბერს, თავად-აზნაურთა თეატრში რუსულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ტრაგედია „ჰამლეტი“. თვით ჰამლეტის როლს ასრულებდა საიმპერატორო თეატრის არტისტი ბ-ნი დალსკი. ბ-ნი დალსკი გამოცდილი, დახელოვნებული არტისტია და, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰამლეტის როლი ამ მსახიობმა გვარიანად წარმოადგინა. სხვა არტისტები სუსტობდნენ. თეატრი თითქმის საკსე იყო.

*** რადგანაც ტფილისის საარტისტო საზოგადოება ახალს, უფრო ფართო და მდიდრულს შენობაში გადადის, ამისათვის აღნიშნულ საზოგადოების ადმინისტრაციას განზრახვა თურმე აქვს საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად წევრთა რიცხვი ამ ჟამად 200-დან 400-მდის აიყვანოს და ამისთვის საზოგადოების წესდების შესაფერად შეცვლა ითხოვეს.

*** ტფილისის „კრუჟოკი“ საზამთრო შენობაში გადავიდა.

*** გაზ. „ახ. მიმ.“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ნებადართულია სიღნაღის მაზრის საზამთრო საძოვარსა და კავკასიის სახაზინო საძოვრებში ნავთის სამრეწველოები იქმნეს გამართულიო.

*** ქართველ დედათა მომავალ სასწავლებლის კომიტეტის თავმჯდომარე გნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა მადლობას უცხადებს სოხუმის პროგიმნაზიის მოწაფეთ, რომელთაც აღნიშნულ სასწავლებლის ფონდის გასაძლიერებლად თავისს შორის 7 მან. და 50 კაპ. მოუკრებიათ და აგრეთვე ქ. განჯაში ქ-ნს ნინო მირიანაშვილისას, რომელსაც ამავე აზრით ადგ ლობრივ 38 მან. და 65 კაპ. შეუკრებია.

## მშობელთა საურთიერთო შემწე საზოგადოება.

კვირას, 15 ღვინობისთვეს, როგორც გამოცხადებული გვქონდა „ივერიის“ მე-219 ნომერში, ქვაშვეთის სამრევლო სკოლის მშვენიერს დარბაზში მოხდა პირველი კრება განსახილველად წესდების იმ პროექტისა, რომლითაც უნდა დაარსდეს ქ. ტფილისში—„თბილისის გუბერნიის მშობელთა საურთიერთო შემწე საზოგადოება ორივე სქესის შვილთა სწავლა-აღზრდისათვის“. წაკითხულ და განხილულ იქმნა რამდენიმე მუხლი პროექტისა. უდიდესი ყურადღება დამსწრეთა გამოიწვიეს პროექტის პირველმა მუხლებმა, რომლებშიაც განმარტებულია, თუ რა აზრით არსდება ეს საზოგადოება. გამოირკვა, რომ საზოგადოება: 1) დააარსებს სასწავლებელს პანსიონით, რომელშიაც პირველი 6—7 წლის სწავლა იქნება საზოგადო კურსისა ორის ახალის ენით, ხოლო შემდეგი 3—4 წლის სწავლა იქნება რეალური და კლასიკური, იმის და მიხედვით, თუ რომელს გზას აირჩევს თვით მოსწავლე; 2) ამავე სასწავლებელთან უნდა დაარსდეს მოსამზადებელი კლასები მშობელთა იმ შვილთათვის, რომელთაც დაუსრულებიათ ანუ მიუტოვებიათ სხვა და სხვა მიზეზით სწავლა რომელსამე სასწავლებელში და ახლა ჰსურთ მოემზადნენ შესასვლელად სხვა სასწავლებელში, მაგალითად, თვით ამ საზოგადოების ანუ სათავად-აზნაურო თუ მთავრობის სასწავლებელში; გამოცხადდა საერთო აზრი იქ დამსწრეთა, რომ ასეთი კლასები დიდს

---

ყეთ; გული აგვიგორდა და მიგორავდა ქიათურისაკენ. სხვიმის ვაჭრობას ელმაცერათ და „ვერაფერ ხელობათ“ ვუყურებდი, მარა რომ გევიგე, ხარისხოვანნი, წარჩინებულნი, დიდნი თავადნი ქიათურის სიშავეს აღარ უფრთხიდენ, მე კუდა აზნაური სულ მოვკუდავდი და ვკურცხლე „ერთ მშვენიერ დღეს!“

ახლა ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმაც წამაქეზა: „ვაჭრობა, კომერცია, კაპიტალისტური წეს-წყობილება, და ხსნა აქ არის, ამაშია, ან და პროლეტარია, უყოლიფრონი და სხვ.“ ღმერთო შეგცოდე და ბევრი ვერაფერი გევიგე ამათი, მარა ამას კი ვგრძნობდი—გამიგონია ძაღლის თავის ისტორია, ნემცები მოგვითხრობენო და იმავე, აქ თუა დამარხული მეც წავალ საძებრათ-თქვა და ის იყო ვკურცხლე!.. ბევრი რამ შეძლებია ფეხის აყოლას! მოლა მასრადინას არაკი ფლავის შესახებ დიდ სულელობათ მიმაჩნდა, მარა ძაან დამახასიათებელი კი ყოფილა ხალხის... ოღონდ ერთი გააგდე ბურთი ზევით, ისიც მოხერხებულ დროს, და შემდეგ ნუ გეშინია, ბევრი გამეცი-ქვს, თუნდა ბურთი სრულებით იქით არ მიდიოდეს, სითაც შენ მიიხიხარ; ამისთანა ხუნდი მოსახერხებელი ყოფილა! მართალია გაგიგებენ-კი ამ ხუნდს, მარა ცოტა ხნით ხომ გეიტაცე ეს ხალხი შენსკენ და!.. მეც სწორედ ამ გატაცებულებს გავყევ და ერთ უბრალო დღეს შორაპნის სადგურზე ქიათურის თერთმეტ შაურიან ბილეთს ვყიდულობდი. არ ვიცი ახლად დანიშნულ საპატარძლოს უფრო უკანკალებს გული თუ არა, როცა თავის საქმროს ელის... მე კი სრულებით ზეცაში ვფრინავდი, რა თქმა უნდა, სიყმაწვილე რომ თან მახლდა, იმის მიზეზიც იქნებოდა, მარა ასე იყო თუ ისე, მე კი გულის ფრთქიალით მივქროდი ქიათურისაკენ... შეიძლება გგონიათ ადგილი ნაშოვნი მქონდა, საქმე გამოწყობილი, ან ვინმესთან გარიგებული ვიყავი. არა, ბატონო! ისე მივდიოდი—ბედის საძებრათ, როგორც ზღაპრებშია ხოლმე. რა, საზღაპრო ქვეყანათ არ მქონდა ქიათურა წარმოდგენილი თუ! მეც მარტო მე ვიყავი გგონიათ! მთელი მატარებელი გაჭედილი იყო ჩემისთანა ბედის მაძებრებით. ბევრნი მოვდიოდით ძალიან! გზაშიც შავქვაზე გვქონდა ლაპარაკი. ერთი გამოცდილთაგანი გამოსულ პარაკა და რომ გაიგო ჩემი მოუმზადებლობა — სიცილი დამაყარა, „მალე გნახავ, ბარგ-აკრული აქეთ მოდიოდეო!“ მეწყინა ამ კაცის უზრდელობა, მისი შენიშვნა სიხარბეთ ჩამოვართვი, არ უნდა სხვებმაც ისარგებლოს-მეთქი, ვიფიქრე, გაგონილი მქონდა ზოგიერთ მწარმოებლის სვავობა, და თუმც გულს რაღაცამ რეჩხი უყო, მაინც არ გავტყდი, იმედი ვერაფერმა ვერ დამიკარგა. ადგილი ვიცვალე, ამ გამოცდილს მოვშორდი და ჩემისთანებს ჩავერიე.

სულ სიცილ ხუმრობით ჩამოვხრიალდით ქიათურაში. ჩამოვედით მარა არ მიამა! ძაან დასვრილი ხალხი იყო სადგურზე! სადგურიც ცუდშენობათ მეჩვენა! ჩაშავებული, ვიწრო, თითქო იმის მთქმელი იყოს—გულ ღიაობას აქ ნუ მოელიო. ხშირად „ქიშკარზეაც“ იცნობება მასპინძელი. ეს სადგურიც ხომ ქიათურის შესავალია და ამ შესავალში მე ვერა საინტერესო ვერ ვნახე. ნაცნობები კი გამიჩნდენ. ზოგი სკოლის ნაამხანაგარი, ზოგიც ისე შენახვედრი. მიამა და იამათ, მარა მაშინვე შევატყე კარგა „მოფუძნებული“ არც ესენი იყვნენ. წამიხდა გიმო! ახლა ბინა! ბინა მინდა ბატონო! ერთი თავ მისადები სადმე ვიშოვნო. სიცილი დამაყარა ამ თაც. რას ამბობ, კაცო, ათი და თუთხმეტი ერთმანერთს ზედ აწევს, ბინას აბა სად იშოვნიო. სასტუმროში ოთახები ცოტაა და ისიც სულ გამომსილია, საბილიარდოშიაც ბილიარდზე წევან, სხვაგან-კი კერძო ბინაზე ყველგან ბევრი ვართ, თვარა ჩვენ წაგიყვანდითო და ვახშმად-კი მობრძანდი, შევიდეთ საცა გინდა, ჩვენი წვეული ხარო. ეგეც კარგი მოწყალებაა, მარა ვახშამი რათ მინდა, თუ თავ მისადები ვერსად ვიშოვე-მეთქი, ვიფიქრე გუნებაში, თქმით-კი არაფერი მითქვამს და, რას ვიზამდი, დავმორჩილდი ბედს. გადავწყვიტე ღამე კარში, სადგურის წინ გამეთია. წავედით ვახშმად, რაღაც ჯურღმულში ჩამიყვანეს - სარდაფიაო, ეს აღარ გამკვირვებია: რომ მოვდიოდი, ეს-კი მქონდა გაგებული, რომ სიწმინდე და სიფაქიზე ქიათურაში იმდენადვე ძვირია, რამდენათაც იქაური ხორაგეულობა, კიდევ უფრო ძვირიო:.. ვივახშმეთ; ღვინოკი კარგი იყო, სხვისი რა მოგახსენო, მიტომ რომ ცუდ გუნებაზე დავდექი და უფრო ღვინოს დავეძალე, საჭმელს იმდენად არ შევხებივარ... ერთის სიტყვით არ მახსოვს რის ბინაზე მინდოდა წამეხვეწება, ამხანაგებმა მითხრეს: კაცო, ალაგი გიშოვნეთ, გარეთ წოლას, რაც უნდა იყოს აქ გირჩევნიაო, და მიმითითეს ერთ დიდ რუმბზე, რომელიც ცოტა ხანი იყო რაც თურმე თბილ-ქალაქიდან ჩამობრძანებული-ყო, რასაკვირველია, სულ სხვა დანიშნულებ სათვის... გავეცინა და დავთანხმდი. ახირებულობა ხომ ძაან მიმზიდავია! მეც ამ ახირებულმა საწოლმა მიმიზიდა. იმ ღამეს მოვისვენე როგორც იყო. მართალია ხშირ-ხშირ ვყუნტალობდი, ბევრჯერაც გამომეღვიძა არ ჩამოვარდე-მეთქი, მარა რა ვუყოთ, ხომ მოგეხსენებათ „გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო“! ასე გაგძელდა მთელი სამი დღე. ეს კიდევ არაფერი,—ვერაფერ საქმეს ვერ მოვაბი თავი! გამიყოლიეს ამხანაგებმა, ნაცნობებმა, ნაცნობები მოყვა და შეიქნა ერთი მიწვევ-გადაწვევა, სმა და ღრეობა. ისედაც მიზანზე ხელ-მოუკიდებელს, ღვინისაგან დარეტიანებულმა სულ აზრი დავკარგე. ერთ ქეიფზე კინაღამ პოლიციაში არ ამოვყავი თავი. ჩხუბი მოხდა და მე გამზავებლის როლი მერგო. პოლიცია კიდევ არაფერი, დარმე „ცივი იარაღის“ მსხვერპლი შევიქენ!

შალვა დადიანი.

(დასასრული იქნება).

საჭიროება შეადგენს ჩვენის ხელმოკლე საზოგადოებისათვის და ამიტომ დიდად სასარგებლო იქმნება მისი დაარსება; 3) ამავე სასწავლებელთან დაარსდება საბავშვო ბაღი, რომელშიც მიიღებენ ყმაწვილებ ექვსის წლიდამ,—სხვა და სხვა თამაშობით, თვალ-საჩინო სწავლით და სიარობა-მგზავრობით მოამზადებენ მათ სკოლურის სწავლისათვის; სწავლა საბავშვო ბაღში გასტანს 1 ანუ 2 წელიწადს იმისდა-მიხედვით, თუ როდის ბავშვი აღმოჩნდება მომწიფებული ასეთის სწავლისათვის; 4) ივივე საზოგადოება დააარსებს ამავე სასწავლებელთან სპეციალურს, პროფესიონალურს საღამოს კურსებს მოზრდილთათვის; 5) წევრებად ამ საზოგადოებისა იქმნებიან: ა) საპატიო წევრნი, რომელნიც შეიტანენ საზოგადოების სალაროში ყოველ წლივ არა ნაკლებ 10-ს მანეთისა, და ბ) ნამდვილნი წევრნი, რომელნიც შეიტანენ ყოველ-წლივ არა ნაკლებ [illegible] მანეთისა. ასეთი მცირე შესატანი იმიტომ ამჯობინეს, რომ ყოველს მშობელს თვით ულარიბესსაც, შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს ამ მათთვის დიდად საჭირო დაწესებულებაში; 6) ყოველი ეს უნდა შექმნან თვით მშობლებმა საკუთარის დარბაზის ჯარით და მაინც მშობლები დიდს მოგებაში იქმნებიან როგორც ნივთიერად (სწავლისა და შესანახის ხარჯების უკანასკნელამდე შემცირებით), ისე სხვა მხრივაც...

შემდეგი კრება დანიშნულია კვირას, 22 ღვინობისთვისათვის, დილის 12 საათზე და იმავე ადგილს, ესე იგი ქვაშვეთის წმ. გიორგის სამრევლო სკოლის დარბაზში. დიდად საწყენად დარჩათ დამწყობთ, რომ ჩვენთვის ასეთ დიდ-მნიშვნელოვან საგნის განხილვას ფრიად მცირენი დაესწრნენ; განსაკუთრებით დაგვალონა იმ გარემოებამ, რომ ამ კრებას არ დაესწრო არც ერთი ჩვენი ცოტად თუ ბევრად ცნობილი მოღვაწე.

ივანე როსტომაშვილი

## შინდისის მომხმარებელი საზოგადოება

მკითხველებს ეხსომებათ, რომ გორის მაზრის შინდისისა და ფხვენისის თავად-აზნაურთ თავის საზოგადო პურის მაღაზიიდგან წრეულს ორას კოდი პური გაჰყიდეს იმ აზრით, რომ ამ ფულით სავაჭრო მაღაზია გაეხსნათ, რადგანაც შინდისი, ფხვენისი და აგრეთვე გორამდის ოფელი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნილი ბაზარ ადგილების შორისა გამო. დიდი ხნის ბაასი და სურვილი განხორციელებულ იქმნა აგვისტოს გასულს საზოგადოების მიერ ამორჩეულმა კამიტანმა ტფილისიდგან ნასაქონლი და პირველ ენკენისს დაიწყო ვაჭრობა. ამ მოქმედებრობამ ჯერ-ჯერობით მოლოდინს გადააჭარბა: დახლში მდგომარე მუშტრის გატუმრებას ველარ ასწრებს. დღეში ოთხ თუმნამდე ადის ვაჭრობა, რიცა დღე ხშირად უნდა იყოს მიყრუებულ სოფლებში. საქონელი გორის მაზანდაზედ არის. კეთილ-გონიერება მოითხოვს, რომ იმ 20-მდე სოფელმა, ლიახვის გაღმა და გამოღმიდან, ივაჭრონ, რადგანაც ეს სოფლ'იც ისევე, როგორც შინდის-ფხვენისი, დაშორებულია ბაზარ ადგილებზე და, სამაგიეროდ, შინდისს ზედ აკრავან. აი ეს სოფლები: ვარიანი, ახალდაბა, არაშენდა, საქაშეთი, თკექცეული, სასირეთი, დვანი, ზემო ხვითი, ქვემო-ხვითი, ქვემო-ნიქოზი, ზემო-ნიქოზი, თვით შინდისი და ფხვენისი; ლიახვის მარცხენა მხარეს: ტყვიავი, მარანა, ძევერა, შერთული და სხ.

ამ სოფლებში მიწა ძრიელ ნოყიერია და კარგად აჯილდოვებს მოწადმართე ხალხის შრომას. ამ ჩამოთვლილ სოფლების მცხოვრებნი მოწეულ ჭირნახულს ფულზედ ჰყიდიან, როგორც სხვა სოფლებშიაც და ფულით იკმაყოფილებენ სახლის სხვა-და-სხვა საჭიროებას. ამ ბოლოს დრო'ს ქართლის ცხოვრებაში აშკარად იჩინა თავი შრომის განაწილებამ. ძველი, ეგრედ წოდებული ნატურალური წარმოება თითქმის სულ გაჰქრა და ყველაფერი ფულით კმაყოფილდება. ჯერ, ჩემს ხსოვნაში, გლეხი, მიწად-მოქმედების გარდა, სხვა ხელობასაც მისდევდა, იმნაირ ხელობას, რაც მიწად-მოქმედებისათვი აუცილებლად საჭიროა, მაგალითებრ: სხვა-და-სხვა სამიწად-მოქმედო იარაღს თითონვე ამზადებდა, ნიჩაბს, ფიწალს, ორთ'თს, არნადს, სამთითს, ფოცხს *); დედაკაცები კიდევ ჰქ'ოვდნენ სახლში შალეულობს და ბევრს იმისთანა საქონელს სახლშივე ამზადებდნენ, რაც ეხლა იმათთვის მოუხერხებელი შეიქმნა ცხოვრების გართულებისა გამო. ასე გასინჯეთ, გლეხები წინდა-პაჭიჭებს ხომ ჰყიდულობენ და ქალამნების ამოსხმასაც-კი თავი დაანებეს და გორში მზად შეკერილს ქალამნებს ყიდულობენ.

გორში რომ დახურულ ბაზარში გაიაროთ, სპეციალურ ქალამნების დუქანს ბევრგან შეჰხვდებით, სადაც დაშაბულ-დამარილებულ საქონლის ტყავისაგან კოხტა ქალამნებს აკეთებენ. ჩვენი გლეხი პრაქტიკულ ალღოს მოკლებული არ არის და, რასაკვირველია, ამ ნაყიდ ქალამანს ამჯობინებს თავის ხამ ტყავისაგან ამოსხმულს, რადგანაც ნაყიდი ქალამანი წამლებით გამომდგარია, უფრო გამძლე და შნოიანიც.

ახალმა ცხოვრებამ მოთხოვნილებანიც გაუფართოვა გლეხსა და მეტადრე გლეხის ქალს. ხშირადვე შეჰხვდებით გორში ახალგაზდა გლეხს, რომელსაც შვიდ რვა მანეთიანი „პოლსაპოშკები“ უყიდნია კალოშებით, თავის ცოლისათვის და ხან ვის აჩვენებს, ხან ვის, ხომ პირიანად მიყიდნია და არ მოვტყუებულვარო. ზოგიერთი ხნიერი გლეხი ძვირფას ფეხსაცმელის დანახვაზედ უსაყვედურებს მყიდველს: „რა გლეხი ქალის საქმეა მაგნაირი „პოლსაპოშკი“,—კნეინებს აცვიათ ხოლმე.“—„აბა ი კნეინების მიხედვა გვღუპავს აი, მაგრამ რა გაეწყობა შვილოსა, ქალი ეშმაკივით შეგიჩნდება, ეს მიყიდეო, და აბა კაი ბიჭი იქნები და არ უყიდი, მგონი სულ დაპადების დღე გაწყევლინოსო“, მიუგებს ხოლმე ცოლის მასიამოვნებელი გლეხი მოპასუხეს. ახლა ნახეთ კვირაუქმეობით, მეტადრე დიდ დღესასწაულებში, საყდარში მოსული გლეხის ქალები რა მდიდრულად არიან მორთულ-მოკაზმულნი ძვირფასის ტანისამოსით... ყველა ამის შემდეგ დარწმუნდებით, რომ გლეხი მართლაც იმ მოწეულ ჭირნახულის ნაწილის გარდა, რაც სახლში საკვებად სჭირდება მეორე მოსავლამდე, დანარჩენს სულ თავის ცოლის ჟინიანობისა და აგრეთვე სხვა უსაჭიროეს ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ჰყიდის.

ზემოდ ჩამოთვლილ სოფლებში მცხოვრებთა რიცხვი ათას კომლზედ ნაკლები აღარ იქმნება, თუ არა მეტი. სულ უკანასკნელი რომ თუმნის სავაჭრო ჩავაგდოთ წლიურად თითო კომლზედ, შინდისის სავაჭრო მაღაზიას წელიწადში ათასი თუმნის ვაჭრობა უნდა ჰქონდეს, თუ რიგიანად წავიდა საქმე. მისს რიგიანად წინ სვლას-კი ყველა გარემოება, გეოგრაფიული თუ ეკონომიური აშკარად ხელს უწყობს. საქმე აქ მოთავეებისაგანაა ახლა დამოკიდებული. ტყუილია ის აზრი, ვითომ ამგვარი სავაჭრო დუქნები ჩვენში არა ხეირობდნენ, ნიადაგი არა ჰქონდეთ. ნიადაგიც დიდია და მოთხოვნილებაც, მხოლოდ კაცები არ გვყვანან ამგვარ საქმისათვის მომზადებულნი და ამიტომაც ვერ ხეირობენ ჩვენში დეპოები და სავაჭრო დუქნები, ერთობ გული გვიტყდება, როცა გვესმის, რომ, მაგალითად, მაჩხაანის დეპო ან ტფილისის „შუამავალი“ განსაცდელშია და დიდად საეჭვოა შემდეგში მათი არსებობაო, და ყოველი ხალისი გვეკარგება, იმედი გვიცრუვდება და ამის შემდეგ დიდის შიშით გამოვდივართ ამგვარ საქმეების ასპარეზზედ სამოღვაწეოდ.

შინდისის მომხმარებელ ამხანაგობაში 38 წევრი ითვლება, სულ თავად-აზნაური და სხვა უფლებიანი წოდებისანი. გლეხთაგანი არავინაა წევრად, რაიცა მოსაწონად არ უნდა ჩაითვალოს. ვაჭრობის საქმეში ჩამომავლობით ღირსება-ნაკლულევანებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ოღონდ ვაჭრობა კარგად წავიდეს, ვინც უნდა იყოს წევრად, გინდა გლეხი, გინდა აზნაურ-თავადი, ეს სულ ერთია. იმედია, ამხანაგობის წევრნი ამგვარს კასტიურს განცალკევებას თავს დაანებებენ და გლეხებსაც მიიღებენ წევრად, მით უმეტეს, რომ გლეხნი-წევრნი აგენტებად იქმნებიან გლეხებშივე, რაიცა ძალიან საჭიროა. ამითი ამხანაგობის თანხაც გაძლიერდება, თორემ 80 თუმნით გახსნილი დუქანი ათასის კომლის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს და მალე მოიძინებს.

ამხანაგობის წესდება ამ დღეებში წარედგინება გუბერნატორს დასამტკიცებლად. მაგრამ საქმე წესდება კი არაა, საქმე რიგიანად საქმის წაყვანაა და იმედია ამხანაგობის მმართველი ივანე ბერძნიშვილი და მისი თანაშემწე არჩილ მირზაშვილი კეთილ-სინიდისიერად გაუძღვებიან ამ ხალხისთვის საკეთილო საქმეს *).

ს. შინდელი

*) კევრებს, ცხავებს, ურმებს, საყევრის ჯაჭვებს, გუთანს, სარცხელს და სხვ. ყველა ამას ან რკინეულობის დუქნებში ყიდულობენ, როგორც რკინის ფიწალს, რკინის სამთითს, ფოცხს, რკინის ტაბიკებსაც-კი, ასე განსინჯეთ გუთნის ღვედის ყიდვაც-კი გორში დაიწყეს, რადგანაც ეხლა ღვედები ტყავის მაგიერ დაგრეხილ ბამ'ის თოკიდგან მზადდება გორში და, როგორც ამბობენ, სჯობიან კიდეც ტყავისას. ზემოდ ჩამოთვლილ სამეურნეო იარაღთაგანი თუ ხისაა, ოსებისაგან ყიდულობენ, რადგანაც ამ სოფელში ხის მასალა საშოვარი არ არის უტყეობისა გამო და საშოვარიც რომ იყოს, გლეხს აღარა სცალიან ძველებურად; მიწა გამოიფიტა და ორს იმდენს ძალას და მუშაობას თხოულობს, რაც წინად უნდებოდა.

*) იმედი გვაქვს, რომ შინდისის ახლომახლო სოფლებში სოფლის ინტელიგენცია თანაგრძნობით მიეგებება შინდისის სავაჭრო მაღაზიას და თავისს მხრივ ზნეობრივს დახმარებას არ მოაკლებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. კახი, (საინგილო). კახის მახლობლად, მდ. ქურმუხზედ, პირველ ღვინობისთვეს, ღამის 8—9 საათი იქნებოდა, რომ ყაჩაღებმა ზაქათალის ოლქის უფროსი დარაჯი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი ივანე სიდორკინი მოჰკლეს. ამ დღეს განსვენებული თავისის ორის ამხანაგითურთ დაბარებული ყოფილიყო ქ. ზაქათალაში ფიცის მისაღებად. ზაქათალიდგან რომ დაბრუნებულიყო, ამხანაგები ს. კახში დატოვებინა და თვითონ მარტოდ გასდგომოდა გზას. საწყალს ეგონა, რომ ამაღამ ჩემის სამსახურის ადგილს მივაღწევ-უშიშარ, რომელიც ს. კახიდგან 5 ვერსის მანძილზედ მოშორებულია. მდ. ქურმუხზედ მას რამდენიმე შეიარაღებული თათარი დახვედრია და თოფის სროლა დაუწყვიათ მისთვის. როგორც სჩანს, ივანე სიდორკინიც ვაჟკაცურად შეჰბმია მტერს და თოფის სროლითვე უპასუხნია, მაგრამ მტრის უმრავლესობას დაუძლევია: განსვენებულისათვის მოურტყამთ უკანიდგან ტყვია და ცხენიდგან გადმოუგდიათ; იმ ღამეს სიდორკინის მოკვლა არავის შეუტყვია. მეორე დღეს, დილის 4 საათზედ, თავისს ბინიდგან მიდენილა ზაქათალაში ინგილო შიო ხუციშვილი, რომლის ცხენიც უცბად შემოფრთხალა, როცა მიახლოვებია კაცის უსულო გვამს. შიო მაშინვე ცხენიდგან ჩამომხტარა, გაუკრავს წუმწუმა და დამახინჯებული, სისხლით სავსე ადამიანის გვამი-კი უნახავს; ის მაშინვე გამობრუნებულა კახში და პოლიციისათვის შეუტყობინებია. ამასთანავე უთქვამს, რომ, როგორც ვიცან, დარაჯი უნდა იყო'ო, რადგან ხმალი, ხანჯალი და პაგონები დარაჯისა აქვსო. პოლიცია მაშინვე წავიდა გასასინჯად. მისწერა საჩქაროდ ეს უბედურობა ოლქის უფროსსა, რომელიც დაუყოვნებლივ კახში მობრძანდა და სასტიკი ბძანება გასცა, რომ ყოველივე ღონისძიება ეხმარათ მკვლელების შესაპყრობად. იმ დღესვე დაპატიმრებულ იქმნენ იმ ქარხნის მომუშავენი, რომლის ახლოც მკვლელობა მოხდა. მომუშავე თათრები აქამომდე არა სტყდებოდნენ, ჩვენ მაგ საქმისა არა ვიცით-რაო, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ-კი გამოუთქვამს, რომ თოფის სროლა გავიგეთო: თოფებს ორი მხრიდგან ისროდნენო. ერთი კაცი რუსულად ყვიროდა და არ ვიცით-კი რასაო, დანარჩენნი თათრულად იძახდნენ „დადექიო“. ჩვენ შეგვეშინდა და ვერ მივბედეთო. ამბობენ, რომ ყაჩაღებს ჩაიც-კი დაულევიათ ამ ქარხანაში. როგორც აღმოჩნდა, ყაჩაღები ნუხის მაზრიდგან ყოფილან ს. გოინუქისა და ბელაჯიქის მცხოვრებნი. მკვლელობის ღამეს მიჰხდომიან ერთს თათარს ს. ამბარ-ჩაიში, (ამბარ ჩაი ზაქათალის ოლქშია, ქურმუხის ახლო), რომელიც მათ უჩიოდა კახის ნაიბთან და უთქვამთ: „ან სიტყვა მოგვე, რომ შენს საჩივარს ჩვენზედ მოსპობო, ან არა და იცოდე შენ მოსაკვლელადა ვართ მოსულნიო“. თათარს შეჰშინებია არ მომკლასო და შეუფიცავს, რომ ხვალვე წავალ კახში და საჩივარს მოვსპობო. ბოლოს მასპინძელს ყაჩაღები ჩაიზედ დაუპატიჟნია, მაგრამ მათ უარი განუცხადებიათ და უთქვამთ, რომ კახისაკენ მივეშურებითო. კახის ნაიბმა რომ ეს ამბავი გაიგო, მაშინვე გოინუქის ბოქაულს აცნობა. უკანასკნელმა შეჰკრიბა ცნობები, ვინ იყო გასული ამ სოფლებიდგან და რისთვისა? აღმოჩნდა, რომ ექვსი კაცი ყოფილა გოინუქიდგანა და ბელაჯიქიდგან გასული უმიზეზოდ; ორი მათგანი კიდეც შეიპყრო ბოქაულმა და გამოუგზავნა კახის ნაიბსა. აქამომდე გამოძიებამ ვერაფერი აღმოაჩინა, რადგანაც ეს ორი შეპყრობილი თათარი დიდს უარზეა, ჩვენ არაფერი ვიცითო. ყაჩაღებს წაუყვანიათ ცხენი და წაუღიათ დარაჯის თოფი და ტყვიები. უნაგირახსნილი დარაჯის ცხენი მეორე დღეს მივიდა თავისს პატრონის ბინაზედ.

ენკენისთვის უკანასკნელ რიცხვებში სოფ. ყორაღანში მცხოვრებ ინგილოს გიორგი ხინაშვილის გვამი იპოვნეს, მაგრამ მკვლელები ჯერ არა სჩანან. მკვლელობის აღმოსაჩენად სასტიკი ზომები მიღებულა.

კახის ნორმალურ სკოლის მასწავლებელი
გ. ფარადაშვილი

## რუსეთი

გაზ. „Петербургскій Листокъ“-ის სიტყვით, პეტერბურგში მალე რენტგენის ინსტიტუტი თურმე დაარსდება, რომელსაც აზრად ექმნება მსურველთ რენტგენის სხივების ხმარება თეორიულად და პრაქტიკულად შეასწავლოს.

— ი. დ. სიტინს ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოდგან ნება-რთვა მიუღია, რომ მოსკოვში ახალი საყოველთაო ნახატებიანი ჟურნალი „Искра“ გამოსცეს.

— ფილიანდიის ბანკის პეტერბურგის განყოფილება 1901 წლ. 1-ლ იანვრიდგან სრულიად დაიხურება.

— იმპერატრიცა მარიამის უწყების საბჭოს დადგენილებით გარედგან მოსიარულე და ნახევარ-ხარჯზედ მყოფ მოწაფე-ქალთ მხოლოდ შემდეგ პატივსადებ მიზეზთა გამო შეუძლიანთ გაკვეთილებს მოსცდნენ: 1) როდესაც ავად არიან, 2) როდესაც მახლობელი ნათესავი ვინმე ჰყავთ ავადა და 3) როდესაც 15 გრადუსი ყინვაა.

— გაზ. „Россія“-ს სიტყვით, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო წინადადება შეუტანია სახელმწიფო საბჭოში, რომ ოქტომბრიდგან მარტამდე ყოველ-წლივ საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო მუზეუმთან სასოფლო-სამეურნეო კურსები იქმნეს ხოლმე გამართული. კურსებზედ ორისავე სქესის მსურველთ მაიღებენ და სოფლის მეურნეობის შესახებ უსაჭიროესს და ძირითადს ცოდნას შესძენენ. კურსებზედ პრაქტიკულადაც იმუშავებენ, უჩვენებენ, როგორ უნდა სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღისა და მანქანების ხმარება და სხ. ერთი სიტყვით, აღნიშნული კურსები სოფლის მეურნეთა და მემამულეთათვის დიდად სასარგებლო იქნება.

— როგორც სასულიერო კონსისტორიებში მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ზოგიერთი მღვდელი თითქმის ყოველს შემთხვევაში პოლიციის მოწმობას თურმე თხოულობს, რომ მიცვალებული დაასაფლავოს და ამითი დასაფლავების

ვე კორპუსი" რალნი ლიდად აბრკოლებს, მაშინ როდესაც კანონის ძალით ასეთი მოწმობა მხოლოდ განსაკუთრებულსა და იშვიათს შემთხვევაშია საჭირო. ამისა გამო უველა ეპარქიას მიწერილობა გაეგზავნა, რომ ადგილობრივმა სამღვდელოებამ სასტიკად დაიცვას მიცვალებულთა დასაფლავების შესახებ არსებულ 1892 წ. დადგენილებათა 704 მუხლი და უბრალოდ არავინ დააბრკოლოს ხოლმე.

— რუსეთის რკინის გზათა მოძრაობის სამსახურის წარმომადგენელთა კრებას დაუდგენია რკინის გზებზედ ბარგის ამწონველ დამრიგებელთა (ВѢСОВЩИКОВЪ РАЗДАТЧИКОВЪ) ახალი თანამდებობანი დააწესოს.

— მეტად სასაცილო და იმავე დროს სამწუხარო ამბავს იუწყება გაზ. „Бирж. Вѣдомости“-ი ქ. სმოლენსკის სტატისტიკურ ცნობებიდგან. აი, მაგალითიც ამ სასაცილობისა: ერთს მემამულე ქალს, რომელსაც 200 დესეტ. ადგილი აქვს, მისს დღეში არავითარი საადგილმამულო, საერობო და სახელმწიფო გარდასახადი არ გაუღია და წარმოდგენაც-კი არა ჰქონია, თუ რა არის ასეთი გარდასახადი. მეორე მემამულეს-კი სამაგალითო მეურნისა და მემამულის სახელი ჰქონია გავარდნილი და ამავე დროს „ხელის გულის ტოლა“ ადგილიც კი არასოდეს არა ჰქონია. რას მიეწერება ეს გარემოება, წამკითხველი, ეჭვი არ არის, თითონ მიჰხვდება, და სამწუხარო მხარეც საქმისა სწორედ აი ამაშია.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** შორეულ აღმოსავლეთში საქმე თანდათან უფრო იხლართება და იწეწება. სრულიად გაუცრუვდათ იმედი, იმათ, ვისაც ეგონათ, რომ საქმე მალე გათავდება და მშვიდობიანობა დამყარდებაო. სახელმწიფოთა რწმუნებულნი კარგა ხანია შეიკრიბნენ პეკინში, ჩინეთის წარმომადგენელნი, ლიხუნგჩანგი და ცინი თითქმის უოველდღე ემუდარებიან მათ, შეუდგეთ მოლაპარაკებასაო, მაგრამ მოლაპარაკებას მაინც დასაწყისი არ უჩანს; პირ იქით ეხლა უფრო, ვიდრე აქამდე, აშკარადა სჩანს, რომ სახელმწიფონი სულ სხვა-და-სხვა აზრისანი არიან ჩინეთის საქმის შესახებ და ამ შემთხვევაში მათი შერიგება და შეთანხმება უოვლად შეუძლებელია, განსაკუთრებით ინგლის-გერმანიის ხელ-შეკრულების შემდეგ: რუსული გაზეთები თითქმის ერთ-ხმად აცხადებენ, რომ ეს ხელ-შეკრულება რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართულიო. ასე, თუ ისე უოველს ეჭვს გარეშეა, რომ მოლაპარაკება ჩინეთსა და სახელმწიფოთა შორის მალე არ დაიწყობა. სახელმწიფონი არაფერს არ უჯერებენ ჩინეთის წარმომადგენელთ და თითქმის უველა იმათ წინადადებას თავხედობადა სთვლიან. სხვათა შორის ლიხუნგჩანგმა და ცინმა სთხოვეს სახელმწიფოებს, მოლაპარაკება ძუნგ-ლი-იამენში გავმართოთო. აი ამის შესახებ რასა სწერს გავლენიანი გაზეთი „Temps“-ი: „ჩინეთის კომისართა წინადადება ძუნგ-ლი იამენის მოქმედების განახლების შესახებ გვიჩვენებს რამდენად თავხედნი და დაურიდებელნი არიან ჩინეთის დიპლომატნი. ამ წინადადების შეწყნარება უოვლად შეუძლებელია. საჭიროა ვაჩვენოთ ჩინეთს, რომ საქმე თვით ამ სახელმწიფოს არსებობას შეეხება, რომ სახელმწიფონი არ მოითმენენ ჩინელთა კომისართაგან ევროპის სასაცილოდ აგდებას, ევროპიელთა დიპლომატების თვალის ახვევას. ახალი წინადადება ძუნგ ლი-იამენის განახლების შესახებ, იმ ძუნგ-ლი-იამენისა, სადაც მკვლელთა ბრბონი არიან დამკვიდრებულნი, ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს ჩინელთა გადაჭარბებულ თავგასულობას. რაც შეეხება დროებით ზავის ჩამოგდებას, დიახ, ჩინელნი ამის შესახებ ვალდებულნი არიან და იმის ზარბაზნებს მოელაპარაკნენ".

— ამავე დროს ამბოხება სამხრეთ ჩინეთში თანდათან ძლიერდება. თუმცა ხანკოუს ვიცე-კოროლი უოველ დღე არწმუნებს ევროპიელებს, ამბოხებას მალე ჩავაქრობო. მაგრამ საქმე სიტყვას არ შეეფერება. პირ-იქით, ინგლისურის გაზეთების სიტყვით, ამბოხების ჩაქრობის ნაცვლად, ეს ვიცე-კოროლი საიდუმლოდ დახმარებასაც-კი უწევს თურმე მეამბოხეთ. დიდ გაჭირვებაში არიან თურმე ის ევროპიელნი, რომელნიც ქალაქ უჩანფუს ზემოთა სცხოვრობენ. მეამბოხენი არწმუნებენ უველას, რომ უცხო ქვეუნელთ ხელს არ ვახლებთ, მაგრამ ევროპიელებს ეს არა სჯერათ. ამას გარდა ევროპიელნი თანდათან რწმუნდებიან, რომ მეამბოხენი ეხლა კი არა, რამდენიმე წელიწადია თურმე, რაც მზადებას შეუდგნენ. „მეამბოხეთა ჯარი, — სწერს ერთი კორესპონდენტი, — უფრო კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილია, ვიდრე იმპერატორის ჯარი. მოხელენი უოველ დახმარებას უწევენ მეამბოხეთ. თვით ჩინეთი ევროპის დაუხმარებლად ვერაფრის გულისათვის ვერ შესძლებს ამბოხების ჩაქრობას".

**ინგლისი და გერმანია.** ამ ორ სახელმწიფოს შორის დადებულმა ხელშეკრულობამ საოცრად გაახარა გერმანიისა და ინგლისის ვაჭარ-მრეწველნი. გერმანიის საზღვაოსნო ამხანაგობათ და სავაჭრო პალატებმა დაადგინეს დეპეშა გაუგზავნონ და მადლობა გამოუცხადონ გრაფ ბიულოვს ასეთის ხელშეკრულების დადებისათვის. ნემეცური გაზეთები კიდევ ათას ნაირად აქებენ და ადიდებენ ბიულოვს.

ძალიან ალაპარაკა ამ ხელ-შეკრულობამ აგრეთვე საფრანგეთის გაზეთებიც. ფრანგული გაზეთები საფრანგეთისათვის ამ ხელ-შეკრულობაში არაფერ საზარალოს არა ჰხედავენ, პირ-იქით ამბობენ, რომ საფრანგეთს შეუძლიან შეიწყნაროს ინგლის-გერმანიის წინადადება, ე. ი. ისეთ პოლიტიკას დაადგეს, რომელიც თხოულობს, რომ ჩინეთი უველა სახელმწიფოს ვაჭრობისათვის ღია იყოს. მაგრამ ეს გაზეთები ამავე დროს ერთხმად აღიარებენ, რომ ხელშეკრულება რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართულიო.

საყურადღებოა იმპერატორ ვილჰელმის აზრი ამ ხელშეკრულების შესახებ. იმპერატორს ბრმენში სიტყვა წარმოუთქვამს და განუცხადებია, ხელ-შეკრულებას ერთად ერთი აზრი აქვს — დაიცვას მშვიდობიანობა და უველას ერთნაირად გაუხსნას გზა ჩინეთის ბაზრისაკენაო. სიტყვის თავში იმპერატორს უთქვამს, ჩვენმა მთავრობამ ხელ-შეკრულება დასდო გერმანიის შემდეგ გერმანიის რასის უძლიერეს სახელმწიფოსთანაო. ამ რიგად ვილჰელმი გერმანიას ინგლისზედაც-კი უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოდა სთვლის.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ძალიან სასაცილოდ აუგდია ერთ ჩინელს ამერიკელი ჰეროლდ ბენეტტი. ბენეტტი დიდად ცნობილი გამომცემელია. როდესაც ჩინეთსა და სახელმწიფოთა შორის ომი ატყდა, ბენეტტის თავისს გაზეთის გასავრცელებლად განუზრახავს დამატებითი ფურცლების გამოცემა ჩინურს ენაზედ; ამ აზრით მიუწვევია რედაქტორად ერთი ჩინელი. ამერიკაში რამდენიმე ათი-ათასი ჩინელი სცხოვრობს, და რასაკვირველია, ეს ჩინელები გამოიწერდნენ თავიანთ სამშობლო ენაზედ გამოცემულ გაზეთს, რომელშიაც ჩინეთის ამბები უნდა ყოფილიყო. ბენეტტიმ შემდეგ გაიჩინა სტამბაში ჩინური ასოები, მიიწვია ჩინელი ასოთ-ამწყობნი და შეუდგა გაზეთის გამოცემას. ჩინელი რედაქტორი მუყაითად მუშაობდა და აუარებელ წერილებს ამზადებდა ახალ გაზეთისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ ბენეტტიმ მოიწადინა იმის გაგება, თუ რასა სწერდა ჩინელი რედაქტორი, ამ აზრით რედაქტორის პირველი წერილი გადმოათარგმნინა ინგლისურად და თავისს გაზეთში დაბეჭდა. აი, სხვათა შორის, რას სწერდა ჩინელი: „თუ ჩემმა ძმებმა ჩინელებმა როგორმე თვალი მოჰკრეს ამ სტრიქონებს, მიიღონ სალამი, რომელსაც ავტორი უგზავნით და აგრეთვე 90 ღმერთთა კურთხევა. თუ ქრისტიანმა ძაღლებმა მოისურვეს გაგება ამ გაზეთის შინაარსისა, გადაეცით, რომ გაზეთში დაბეჭდილია ჩინეთში მომხდარ ომის ამბები. ეს გაზეთი ძაღლ ქრისტიანეს ეკუთვნის, ამიტომ ყველა ჩინელი ვალდებულია დააფურთხოს გაზეთს და ზედ აღარ შეჰხედოს." ამ შესანიშნავმა წერილმა ამერიკელი ჩინელები აღტაცებაში მოიყვანა. სამაგიეროდ ვერაფერ გუნებაზედ დადგა თვით ბენეტტი. რასაკვირველია, მან მეორე დღესვე დაითხოვა ჩინელი რედაქტორი და ჩინური გაზეთის ბეჭდვასაც თავი მიანება. მთელმა ამერიკამ სასაცილოდ აიგდო ბენეტტი.

* * *

რას არ მოიგონებენ ქალები, ოღონდ-კი სილამაზე შეინარჩუნონ. აი, მაგალითად, ინგლისის მაღალის საზოგადოების ერთ მანდილოსანს, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, რა ხერხი უხმარია ამისათვის. ეს მანდილოსანი უკვე ხანში შესულა და, რასაკვირველია, სახეზედ სიბერის ნიშნები დასტყობია. ქალს არც აუღია, არც დაუღია, ამდგარა და ოპერაცია მოუხდენია: სახედგან კანი სრულიად გადაუძვრია. კანს ნაწილ ნაწილ აცლიდნენ. ძველის დანაოჭებულის და ფერ წასულ კანის ნაცვლად ახალი კანი ჩნდებოდა. ბოლოს, რამდენისამე თვის წვალებისა და განმარტოების შემდეგ, ეს მანდილოსანი ხელ-ახლა გამოსულა საზოგადოებაში და ყველანი განცვიფრებაში მოუყვანია. სხვანი სხვა ხერხსა ხმარობენ ამისათვის. ინგლისისავე მაღალ საზოგადოების მანდილოსანთ შორის ძალიან არის გავრცელებული, მაგალითად, ერთგვარი ტყავის ნიღაბი (მასკა). ამ ნიღაბს სახეზედ იმაგრებენ და რამდენსამე კვირას ატარებენ. ნიღაბი მაგრაა მიბმული სახეზედ, ასე რომ ხანგრძლივის ტარების შემდეგ იგი ნაოჭებსა ჰშლის სახეზედ და კან აც არბილებს. ზოგი თვალების გასადიდებლად ორსავე მხრიდგან თვალს ოპერაციას უკეთებს; ზოგი ოპერაციითვე ყურებს იპატარავებს, ნიკაპს ისწორებს და სხ.

* * *

გაზეთები ძალიან ბევრს სწერენ ამ ჟამად მეტად ნიჭიერის სკრიპკის დამკვრელის იან კუბელიკის შესახებ. პრაგასა, ვენასა, ბუდაპეშტსა, ლეიპციგსა და ბერლინში გამართულ კონცერტებით კუბელიკმა დიდად გაითქვა სახელი. კუბელიკი ამ ჟამად სულ 21 წლის კაცია. მან შეიძინა 20,000 კრინად იოსებ კვარნერის სკრიპა და კონცერტების დროს იმაზედ უკრავს.

* * *

ამას წინად ვარშავაში ერთი პარიკმახერი გაგიჟებულა სწორედ იმ დროს, როდესაც ერთ კაცსა წვერსა ჰპარსავდა. საპარიკმახეროში შესულა ვინმე იან სენიავსკი, 48 წლის კაცი. პარიკმახერს საპონი წაუსვავს, სამართებელი აუღია ხელში, მაგრამ პარსვის ნაცვლად უცბად სრულიად მოულოდნელად სენიავსკისათვის სამართებელი თავსა და სახეში დაუშენია. საწყალი სენიავსკი ბევრსა სცდილობდა თურმე, მაგრამ ხელიდგან ვერ დასხლტომია პარიკმახერს. ბოლოს ყვირილზედ ხალხი შეცვივნულა და ძალზედ დასისხლიანებულ-დაჭრილი სენიავსკი გამოუგლეჯიათ ჭკვაზედ შეშლილ პარიკმახერისათვის.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ოქტომბერი.

**შანხაი.** შანსის გუბერნატორმა იუხსიენმა, რომელმაც ბრძანება გასცა ყველა მისსიონერები ამოეწყვიტათ, თავი მოიკლა.

**პეკინი.** უცხო სახელმწიფოთა ელჩების კონფერენციაზედ 13 ოქტომბერს გარდასწყდა, რომ საფრანგეთის მიერ დასასჯელ მოხელეთა წარდგენილს სიას მიემატოს სახელები პრინცის იუსი და სინიენისა. იმპერატორის უკანასკნელს ბრძანებაში ნათლადა სჩანს, რომ სახელმწიფოთა დასამშვიდებლადა და შესარიგებლად განზრახვა აქვთ ზოგიერთი სხვა დამნაშავე მინისტრებიც დასაჯონ.

პაოტინფუდგან იუწყებიან, რომ მოკავშირე ჯარების უფროსი აფიცრები საშინლად აღელვებულან განთავისუფლებულ მისსიონერების მიერ ნაამბობით, თუ როგორ სასტიკადა და შეუბრალებლად ეკიდებოდნენ ჩინელები და, როგორც პირველი დამნაშავე, ერთი პროვინციელი ხაზინადარი დაუპატიმრებიათ. ჯერჯერობით კიდევ იმედი აქვთ, რომ მოკავშირენი ქალაქს ღირსეულად დასჯიან.

**კაპშტადტი.** კაპის ახალშენის საპოლიციო ჯარების ერთს რაზმს 11 ოქტომბერს ბურების ორ რაზმთან კაპშტადტის მახლობლად დიდი ბრძოლა ჰქონდა. ბრიტანელთ ორი მსწრაფლ-მსროლი ზარბაზანი ჰქონდათ მაქსიმის სისტემისა. დიუტუასი, ვილსენისა, პოტშერისა და დევილიეს უფროსობით ბურებმა ინგლისელების წინააღმდეგ ორჯელ მიიტანეს იერიში, ათმა თითოს წინააღმდეგ, ალყად შემოერტყნენ და დიდი ზარალი მისცეს. ბურებმა უმთავრესად ინგლისელების ზარბაზნებს დაუშინეს ტყვია და კიდევაც წაართვეს. შებინდებამდის საპოლიციო ჯარს იომანრები მიეშველნენ. ინგლისელებს 7 მოუკლეს, 11 დაუჭრეს და 15 ტყვედ წაიყვანეს. ბურების რიცხვი 15,000 დეა, რომელთაგანაც თითქმის ნახევარი მდინარე ორანჟეს ახალშენშია.

**ხაბაროვსკი.** მსროლელთა მე-12 რაზმი ხაბაროვსკში დადგა. ნათესავებსა და ნაცნობებს სალამს უძღვნიან. ყველანი ჯანმრთელად არიან. წერილების გაგზავნა ხაბაროვსკში შეიძლება.

**შანხაი.** ქვრივმა იმპერატრიცამ მიანდო განსაკუთრებულს კომისიას, რომ რაც სამხრეთ და შუა ჩინეთის პროვინციების სახაზინოებში ფულია, ყველა ერთად იქმნეს შეკრებილი.

**ვაშინგტონი.** კონჯერისაგან მიღებული დეპეშა ამბობს, რომ, როგორც დაწვრილებითმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, ტყუილია ის ხმა, ვითომ ჩინეთის მთავრობამ ნნკინისა და ხანკოუს მეფის მოადგილენი სამსახურიდგან დაითხოვა იმის გამო, რომ უცხო სახელმწიფოთ მგობრულად ეკიდებოდნენო.

17 ოქტომბერი.

**ნიუ-იორკი.** 16 ოქტომბერს, შუადღისას, ბროდვეი ქუჩაზედ, „ტარანტ“-ის ქიმიურ ქარხანაში საშინელი აფეთქება მოხდა. პირველ აფეთქებისას შენობას ცეცხლი წაეკიდა, შემდეგ რამდენჯერმე კიდევ მოხდა აფეთქება. ქარხნის მახლობლად რკინის გზის ერთი ნაწილი დაიქცა. გაზეთების სიტყვით მოკლულთა და უკვალოდ დაკარგულთა რიცხვი ასიდგან ოთასამდეა. ზარალი $1^1/_2$ მილიონ დოლარამდეა.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება, რომ ინგლისელებმა პარისთან ბურებს ორი ზარბაზანი წაართვესო.

**ტიან-ძინი.** ექსპედიცია, რომელიც 10 ოქტომბერს აქედგან ხსიანგოსა და პაოტიფუ წავიდა, უკან დაბრუნდა ისე რომ მტერთან შეტაკება არ მოსვლია. 4000 კაცი, „დიდის მუშტის“ მომხრე, რომელნიც, როგორც იუწყებიან, პაოტისთან ყოფილან, გაფანტულან ექსპედიციის მიახლოვებისას. ჰფიქრობენ, რომ ექსპედიციების გაგზავნა „დიდის მუშტის“ წინააღმდეგ უსარგებლო იქნება, რადგანაც „დიდის მუშტის“ მომხრენი თუმცა უწინდელებრ სდევნიან ადგილობრივ ქრისტიანებს, მაგრამ უცხო ქვეყნელთა ჯარის მიახლოვებისას იარაღს ჰმალვენ და იფანტებიან.

გეზლი პაოტინფუდგან იუწყება 11 ოქტომბერს, რომ ვალდერზეეს ბრძანებით ინგლისის ჯარი პეკინსა და ტიან-ძინში ბრუნდება გერმანიისა და იტალიის ჯართან ერთად სამოქმედოდ. ინგლისის ჯარი 26 ოქტომბერს მოვა. ის რაზმები, რომელნიც პეკინში ბრუნდებიან, სამ ნაწილად მოდიან, რათა გზაში „დიდის მუშტის“ მომხრენი ტყვედ ჩაიგდონ. უმთავრესს რაზმს უფროსობს გენერალი რიჩარდსონი. ის ჯარი, რომელსაც გენერალი გემბელი უფროსობს, ტიან-ძინში მოდის პაოტინფიდგან მდინარის მარჯვენა ნაპირით. ამ ჯარს გზაში „დიდის მუშტის“ მომხრენი შეჰხვდნენ. ბენგალიის ულანთა რაზმი, რომელიც 9 ოქტომბერს რეკოგნოსციროვკაზედ იქმნა გაგზავნილი, პაოტინფუდგან 30 მილის მანძილზედ შეხვდა „დიდს მუშტს“ რაზმსა 20 კაცამდე მოჰკლა. ჯარი კარგადაა.

**კანტონი.** გუჯოუ ოლქში ამბოხება თან-და-თან ძლიერდება. მთავრობის ჯარს ვერაფერი გაუწყვია, ახალი ჯარი მიდის მისაშველებლად. მეამბოხეთ წინამძღოლობენ სწავლული სუნ და რეფორმატორის კან-იუ-ვეის ერთი აგენტი.

**ლონდონი.** როდესაც ქალაქზედ სამხრეთ აფრიკის ომიდგან დაბრუნებულთ თავისუფალ მეომართ გაიარეს, დიდი არეულობა და ჰყლეტა მოხდა. დაილუპა ამ დროს ოთხი კაცი და 140 კაცი დაშავდა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე